ხოფელ მეკიბეძეების კოლმეურნეობაში სამეურნეო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცებასა და სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგებზე იმსჯელა რაიონის კონტროლის კომიტეტმა. შემოწმებით გამოირკვა, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობაში უყურადღება არ ექცევა შრომის ორგანიზაციის და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, არის დანაკლისები, დაბალია რენტაბელობა, ირღვევა საკასო ოპერაციები და შემოსავლების წარმოების წესები, პროდუქციის რეალიზაციიდან ამოღებული თანხები დროულად არ შეაქვთ ბანკში. პირუტყვის უყაირათოდ და არასწორად შესყიდვის შედეგად გამოწვეული ზარალი 7.277 მანეთის, ხოლო თივის დანაკლისის შედეგად დაწერილი თანხა 9. 721 მანეთს შეადგენს. კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს ტ. ვანაძეს გამოეცხადა საყვედური. რჩევა მიეცა კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრების სამუშაოდან გათავისუფლების საკითხი. ბიუროს ნებართვა მისცა კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრების სამუშაოდან გათავისუფლების საკითხი ა. ვანდაძეს.

ანონიმი

ფელეტონი

ანონიმზე მოგითხრობთ,
სულერთია ვინც არის...
თუმცა, იქნებ გენიშნათ!
იქნებ კიდეც იცანით!
დღისით ხმინავს, ღამით კი
ფეხზლობს როგორც ლომური,
ჭრაქის ბოლზე თენებამ
ბუხარივით გამოცა.
ღობე-ყორეს ეღება
არამკითხე მოამბე,
შეთხზავს ჭორებს და მერე
მთელს ქვეყანას მოაფენს:
— ეს რა მესმის, დოფინე
გამყვა ორჯერ ნაცოლარს,
მას ცხვარი აქვს ისეთი,
გამოლგება ხაცობად;
— კოლამ ფეფო შეირთო,
მზითვად მოჰყვა საყურე,
ამოდენა ოქროა,
ლამის ზღვითი დაყრუდეს;
— ნიკამ დასასვენებლად
ბირჩია ლიკანი,
გადიხადა დღეობა
გოჭითა და ცოკანთ;

— აფრასიონს და სარას
ოჯახს უნგრევს ხალდრი,
არ/ რეხვენია სიბერის,
ახაკის და ხითეთრის,
ცოლ-ქმარს ალერსს
უკრძალავს,
ერთმანეთთან წაჩკიდა,
მოსვენებას არ აძლევს, —
უმკრიტნებს ფანჯრიდან;
— კაკომ ბინა მოიერთო
ხალიჩით და ჭაღებით,
არ დაიკლო „როჯერსი“
და არც მინი-ბაღლები;
— სანდრო კომბინატოროს
ცხოვრება აქვს ნეტარი,
— ეანას შვიდი შვილი ჰყავს,
ხაიდან ჰყავს ნეტავი?!

ხაკუთარი სახელი
ანონიმით დალაქ,
დაგესლილი ორფეა
დაძრწის ხოფელ-ქალაქად.
ამოწმებენ ხაჩივრებს
კომისიის წევრები,
ახსნა-განმარტებებით
ხალხს დაწყდა ნერვები...
ამა, ანონიმისთვის
ვინ დაუდგამს ტახტევანს?!
ალბათ, მალე, სულ მალე
წერის წერა გახდება!

ბ. ბერძენიშვილი.

ბ. ბუნდლაძის ნახატი.

კონტროლიორთა საგუშაგოზე

საქართველოს მშრომელების მიერ ნაკისრი ვალდებულების — ხუთასი ათასი ტონა ენერგიის მოყვანისათვის ბრძოლაში ენერგიულად მონაწილეობენ საგარეჯოს რაიონის ნინწყმინდის კოლმეურნეები. მათ ერთიანად უდგანან მხარში მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები, რომელთა ფოტოზეა თვალი მეურნეობის ყველა კუთხე-კუნჭულს სწვდება.

ხურათზე: სახალხო კონტროლიორები (მარცხნიდან) მთავარი აგრონომი ვ. ასრიანაშვილი, მევენახეები მ. ახვერდაშვილი, კ. გრძელიშვილი, ბ. ივანიაშვილი და № 2 მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. კონიაშვილი ამოწმებენ მოკრეფილი ყურძნის ხარისხს.

ბ. გოგორიას ფოტო.

ქუთაისის სანკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ სახალხო კონტროლიორები ბევრი კეთილი საქმის მოთავეები არიან. ისინი დიდ დახმარებას უწევენ ადმინისტრაციას, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს. სახალხო კონტროლიორები აქტიურად იბრძვიან პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

ხურათზე: ქუთაისის სანკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე ვ. რუხაძე, მეოთური საწარმოს № 1 საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ლ. ცქიფურიშვილი და წუნმდებელი მ. სვანძეე ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ბ. ბერსამპას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მომსახურებაც არის და მომსახურებაც!

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრ რამ გაკეთდა ეაჭრობის გაუმჯობესებისათვის, მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის. მაგრამ სახალხო მეურნეობის ამ რთულ დარგში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. მაგალითად, ჯავის რაიონის საჯაჭრო ორგანიზაციებში მთელი რიგი ნაკლოვანებანია.

დარღვევებს ადგილი აქვს არა მარტო სამრეწველო, არამედ საზეგების ობიექტებშიც. მაგალითად, შერჩევით შემოწმებულ ეაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 15 ობიექტიდან ნაკლოვანებები გამოვლინდა 9-ში. ოშვიათი არ არის ფასების გამოუცხადებლობა, დამახინჯებები, დეფიციტური საქონლის გადამალვა, ეიირლიყო ოვინის ნაკეთობათა გაყიდვის ფაქტები და სხვ. სოფელ კიროვის სასაადილოში (ზარეული ე. ხუციევი) 1 მანეთად და 80 კაპიკად ღირებული 45 კილოგრამი ფონდირებული ხორცი შეიტანეს და მას ბაზრის ფასი დაადეს—4 მანეთად და 50 კაპიკად ყიდდნენ. ცხადია, ამის შედეგად გაღიდდა კერძების ფასებიც. აღსანიშნავი ისიც, რომ ჯავისის საზოგადოებრივი კვების ყველა ობიექტში ათ დღეში ერთხელ ადგენენ მენიუს და ეს იქ არავის ეუნერხულება.

მსგავს დარღვევებს ჰქონდა ადგილი ალოთის და ქიმოლთის სასადილოებში, ვანელის სასაუზმეში. ამ ობიექტებში მომხმარებლებს ანგარიშს არ უდგენენ, ანტისანიტარია, დაბალია მომსახურების კულტურა.

ჯავისის საჯაჭრო ცენტრში (დირექტორი ხ. გაგიევი), სადაც ეაჭრობისა და მომსახურების მცალოის უნდა იძლეოდნენ, შემოწმების დროს გადამალული ჰქონდათ დეფიციტური ამპორტული საქონელი. აქ ადრეც იყო ასეთი შემთხვევები.

რაიონის ცენტრში მდებარე რესტორან „ძაუნი“ შემოწმებისას ალოგრამი პამდორი 4 მანეთად და 20 კაპიკად, ჯიტრი 3 მანეთად და 7 კაპიკად იყიდებოდა, მაშინ როცა ეხნიანელის საკოლმეურნეო ბაზარში მათი ფასი 1 მანეთსა და 50 კაპიკს, ორ მანეთს არ აღემატებოდა. აღნიშნული ბოსტნეულის ღირებულება რესტორანში თვის ბოლოდე. უცვლელი დატოვეს.

რესტორნებს „ცისფერ დუნაისა“ და „ძაუს“ მაღალი კატეგორია მიაკუთვნეს, გაუდიდეს თანრიგი. ამის მომსახურების სათანადო გაუმჯობესება, ეაჭრობის კულტურის ამაღლება უნდა მოპყოლოდა, მაგრამ ამ მიმართულებით აქ არაფერი გაკეთებულა. ფასების ხელოვნური გაზრდა მომსახურების გაუმჯობესებას როდი ნიშნავს.

საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება ხელს უშყობს ნაკლოვანებათა წარმოქმნას, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევას. სწორედ ამის შედეგია, რომ სავაჭრო ობიექტებში ადგილი აქვს დანაკლისებს, ხარვეზებს. შარშან აქ სამი მაღაზიის გამგეს 20.900 მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა. მათ შორის სანატორიუმ „ძაუს“ მაღაზიაში (გამგე ტ. გაგლოევი) 16.900 მანეთის დანაკლისი აღმოჩნდა. გასაკვირველი ის არის, რომ რაიკოოპკავშირმა სწორედ აქ არაერთხელ ჩატარა შემოწმება, მაგრამ რევიზორებმა დარღვევა ვერ აღმოაჩინეს.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯავის რაიკოოპერატივის გამგეობა, კავისის მომხმარებელთა საზოგადოება არაადამიანურად ინტერესებს ეაჭრობის გაუმჯობესების, დაქვემდებარებულ ობიექტებში კონტროლის ქმედითობის ამაღლების ღონისძიებებს, საჭირო ყურადღება არ ექცევა საჯაჭრო ობიექტების ხელმძღვანელ მუშაკთა და რიგით თანამშრომელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, კადრების აღზრდას, სწორად განაწილებას და დაწინაურებას. პრინციპული ბრძოლა არ მიმდინარეობს ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ. ყოველივე ეს გამოხატულებას პოულობს გეგმების ეკონომიკურ მაჩვენებლებში. ჯავის რაიკოოპერატივის საბუღალტრო დოკუმენტებით გარღვევამ უკვე 86 ათასი მანეთი, ხოლო კავისის მომხმარებელთა საზოგადოებაში — 16 ათასი მანეთი შეადგინა. მოგების გეგმებს შესაბამისად დააკლეს 5 და 4 ათასი მანეთი. სისტემატური ხასიათი აქვს ზენორმატიულ ნაშთებს, მან 498 ათასი მანეთი შეადგინა.

რაიონის ზოგიერთი საწარმოდაწესებულება არასწორად იყენებს საკუთარ თანხებს, უკანონო ოპერაციებით ცდილობს სხვადასხვა საკითხების მოგვარებას, რაშიც მას თავისებურ დახმარებას უწევს რაიკოოპერატივის გამგეობაც. ჯავის ტურბაზამ (დირექტორი ნ. სანაკოევი) კვების პროდუქტებისათვის 28 ათასი მანეთი ჩარიცხა, რაიკოოპერატივიდან კი 14 ათასი მანეთის შეკვეთი ნაწარმი, ლოგინის მოწყობილობა და სხვა სამეურნეო ნივთები გამოიტანა.

კიდევ შეიძლებოდა რაიკოოპერატივის, მისი ობიექტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მაგალითების მოყვანა, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ აქ სათანადოდ ვერ იყენებენ საუწყებო კონტროლს. საკაჭრო და საზეგების ობიექტებში ჩატარებულ შემოწმებებს არა აქვს ქმედითი, გამიზნული ხასიათი, არ შესწევთ უნარი ზეგავლენა მოახდინონ ფონდების განაწილებაზე, ვაჭრობის წესების დარღვევების ლიკვიდაციაზე.

ვაჭრობისა და საზეგების ობიექტებში სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების თავიდან აცილება, ან მათი მასშტაბების შემცირება გადაუჭრელი პრობლემა რიგია, რომ რაიკოოპერატივში ამის სურვილი და მეტი მონდომება ჰქონდეთ.

ჯავის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის ვაჭრობისა და საგეგმო-საფინანსო ორგანოების შტატგარეშე განყოფილების შემოწმების შედეგები განიხილა ჯავის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და ეაჭრობისა და საზეგების ობიექტებში არსებული დარღვევების ლიკვიდაციისათვის განსაზორციელა ქმედითი ღონისძიებანი. საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, ჭირბოლ სასადილოებისა და რესტორნების მუშაობაში არსებული დარღვევებისათვის ჯავისა და კვაისის საზეგების დირექტორებს ს. ცხოვრებოვსა და ს. კანმაზოვს, დეფიციტური საქონლის გადამალვისათვის საჯაჭრო ცენტრის დირექტორს ს. გაგიევს, საკასოსალანსო დისციპლინის დარღვევისათვის ჯავისა და კვაისის მომხმარებელთა საზოგადოების უფროს ბუღალტრებს ბ. ცხოვრებოვსა და ტ. კანმაზოვს გამოეცხადათ საყვედური, ხოლო ჯავის რაიკოოპერატივისა და კვაისის მომხმარებელთა საზოგადოებებს გამგეობათა თავმჯდომარეებს ხ. ცხოვრებოვსა და მ. თედეევს მიეცათ შენიშვნა, ამასთან მხედველობაში მიიღეს ის, რომ ისინი ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნული არიან.

ჯ. ახვლედიანი,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

გამოცდილება

სათაო ჯგუფი აქჭიუროობს

ტყიბულის სამედიცინო დაწესებულებათა ქსელში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქალაქის მრავალპროფილიან საავადმყოფოს. იგი მომსახურებას უწევს როგორც ქალაქის, ისე ზონის სოფლების მოსახლეობას, პრაქტიკულად ეხმარება საუბნო საავადმყოფოს. საავადმყოფოს ექიმთა ბრიგადა რეგულარულად, კვირაში ერთხელ მიდის სოფლებში. ადგილზე იღებენ პაციენტებს, ამოწმებენ კოლმეურნეთა ჯანმრთელობას, კითხულობენ ლექციებ-მოხსენებებს. ჩვენი საავადმყოფო სამედიცინო ინსტიტუტის კეთილმოწყობილი ბაზაც არის. აქ ინტერნატურას გადიან ინსტიტუტის კურსდამთავრებულები.

ჯანმრთელობის საქმის უკეთ დაყენების მიზნით შექმნილი გვაქვს სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფი, რომელიც 28 კონტროლიორს აერთიანებს. გარდა სათაო ჯგუფისა მოქმედებს სამი საგუშაო, აგრეთვე ინფორმაციის, საჯარიობისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის სექტორები. დიდმნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხების შესწავლისათვის პერიოდულად ქმნილი დროებით კომისიები.

წლიულს სათაო ჯგუფმა შეისწავლა 13 საკითხი. აქედან ჯგუფის კრებაზე განვიხილეთ 8 საკითხი, ბიუროს სხდომაზე კი 2 საკითხი. შემოწმების შედეგების ორი შემოხვევა გავიტანეთ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. შესწავლილი და განხილული საკითხების თემატიკა ასეთია: ექიმის მიერ მიცემული დანიშნულების ავადმყოფებამდე დაყვანის მდგომარეობა, ხარკოგეულ სამუალეებათა აღრიცხვა-შენახვა და ხარჯვა, ავადმყოფთა დიეტური კვება, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება. ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის მდგომარეობა და ა.შ.

სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფში სიგნალი მოვიდა. იტყობინებოდნენ, რომ საავადმყოფოს სტაციონალურ განყოფილებაში ზოგჯერ დოკუმენტებს ისე არ ავსებენ, როგორც ამას ინსტრუქცია მოითხოვს. დაუფიქრებლივ ამოქმედდნენ კონტროლიორები, რეიდის მონაწილეებმა მოახდინეს მასობრივი შემოწმება. სიგნალი დადასტურდა. სათაო ჯგუფის ბიუროს დასჯირდა თავის სხდომაზე მკაცრად ემსჯელა ამ საკითხზე. გავაფრთხილეთ ყველა ექიმი და სამუალო მედპერსონალი, რომ სერიოზულად მოქცეულიყვნენ აღრიცხვას და ავადმყოფობის ისტორიის შევსებას. მიღებულმა ზომებმა კარგი — მდგომარეობა სწრაფად გამოსწორდა.

საავადმყოფოს პაციენტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ოთრეულის რეცეპტის მეტად დაბალი ხარისხის გამო. შეფერხების ადგილზე გაჩნდნენ კონტროლიორები. დადგინდა, რომ სამრეცხაოს ზოგიერთი მუშაკი უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას. ერთი სიტყვით, გამოვლინდა ხელისშეშლელი მიზეზები. სამრეცხაოში არ იყო მუშაობის ნორმალური პირობები. სათაო ჯგუფმა მიზანმეწონილად ჩათვალა საკითხი დაგეგეგმენებინა ადმინისტრაციის წინაშე. ასეც მოხდა. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა სწორად გამოიხმაურა კონტროლიორების ნარკვევ ძასალებს. სულ მალე სამრეცხაოში სრული წესრიგი დამყარდა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თეთრეულის რეცხვის ხარისხი.

ჩვენი ექიმებისათვის ხელმისაწვდომია ეფექტური სამკურნალო საშუალებები. ასეთებით საავადმყოფოს ქსელი ცუდად როდი გვამარაგებს, მის მიმართ საყვედური არ გვეთქვის. მაგრამ ამ ბოლო ხანებში გახშირდა ისეთი შემთხვევები, როცა ექიმები ავადმყოფებს უნიშნავდნენ ისეთ წამლებს, რომლებიც ადგილზე აფთიაქებს არ გააჩნდათ.

ამ ძნელ საქმეს კონტროლიორებმა მოკიდეს ხელი. გამოირკვა, რომ ექიმები ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული იმ წამლების ნუსხაზე, რაც ქალაქის აფთიაქებს გააჩნია. სახალხო კონტროლის ჯგუფის კრებაზე აღინიშნა ისეთი ინფორმაციის გაუმჯობესების საჭიროება. ექიმმ კონტროლიორს ი. სანებლიძეს დაევალა კვირაში ერთხელ შემოვლო ქალაქის აფთიაქები და დაეზუსტებინა, თუ რა სახის სამკურნალო საშუალებები იყო ადგილზე. ასეც მოხდა. ახლა ჩვენი ექიმები რეგულარულად ეცნობიან აფთიაქებში სარეალიზაციოდ არსებული ეფექტური წამლების ნუსხას.

ჩვენ, ექიმებს, ზზნარად მოგვმართავენ ქალაქის ბაღალტერ დაავადებული პაციენტები და მოითხოვენ დაგვხმაროთ მათ კვების საქმის მოგვარებაში. დასაბალი როდია, რომ ზოგჯერ ქალაქის საზოგადოებრივი კვების ქსელი განაცდის დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის გამოსაყენებელი პროდუქტების ნაკლებობას. ეს ნათლად გამოვლინდა აძას წინათ მეფიკოს კონტროლიორთა მიერ მოწყობილი რეიდის დროს. საჯაჭრო ქსელის ხელმძღვანელობა კონტროლიორთა სამართლიან მოთხოვნას სრული გაგებით შეხვდა და დაგეგმილია საკითხის უახლოეს ხანში მოგვარება.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც თანაბრად ყველა ტყიბულელს აღელვებს. აქამდე არსებული საავადმყოფო აგებულია ამ ოთხი ათეული წლის წინათ. შენობა თავდაპირველად თურმე სკოლისათვის იყო განკუთვნილი. ამიტომ იგი ვერ უპასუხებს შრომელთა მკურნალობის თანამედროვე მოთხოვნებს. ახალი საავადმყოფოს მშენებლობის დაწყების კაზზე თითქოს გადადგა ერთგვარი ნაბიჯი. გაკეთდა 250-საწოლიანი შენობის პროექტი. ამ ახალი მშენებლობის დაფინანსება ითავა საწარმოო გაერთიანება „საქნახშირმა“. მაგრამ რატომღაც ჭიანურდება საავადმყოფოს მშენებლობის გეგმაში შეტანა და დაწყება.

დ. კობეშავიძე,
ტყიბულის საავადმყოფოს სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფის თავმჯდომარე.

კონსულტაცია

ადგილზე შემოწმება

საერთოდ კონტროლის უმნიშვნელოვანესი ეტაპია ადგილზე საკითხის დგომარეობის შემოწმება. ითაზე, თუ რამდენად ღრმად ხასწვდებენ კონტროლიორები შესამოწმებელი ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მხარეს, მეკვლად არიან დაინტერესებული მუშაობის ეფექტიანობა და ეფექტიანობა.

ცხადია, ადგილზე ამოწმებისას არ ეძიებენ ძნა სპეციალ ძუშაობა. წინასწარ შეიძლება ინიოლოგ ამოწმების საერთო პრინციპების გასახვლა, რადგან თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში საფუძველ სხვადასხვანაირად უნდა წყვიტოთ.

მუშაობის დაწყებამდე კონტროლიორებმა შესაბამშემდეგი ობიექტის ხელმძღვანელობა უნდა ინფორმონ ამოწმებენ და ამოცანები, უზრუნველყონ მათი დახმარება საჭირო ცნობების, დოკუმენტებისა და სხვა ძასალების მიცემის საქმეში. ამის შესახებ უნდა შეატყობინონ ადგილობრივი სახალხო კონტროლის ჯგუფს, რომელთანაც უნდა ითანამშრომლონ.

სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობაში ფართო გავრცელება ჰპოვა შემოწმების დაწყების შესახებ კოლეგტივისათვის შეტყობინების პრაქტიკამ.

ბუნებრივია, ასეთი შეტყობინება არ შეიძლება ამ შემთხვევაში, თუ მოულოდნელი შემოწმების ან რევიზიის ჩატარებაა საჭირო. რა თქმა უნდა, ამ დროს წინასწარ არავის არაფერს ეაცნობებთ.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობაში ფართო გავრცელება ჰპოვა შრომელთა მიღებამ უშუალოდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ასეთმა პრაქტიკამ საკასებთან გაამართლა თავისი დანიშნულება და შესანიშნავ შედეგს იძლევა. შრომელთა ასეთი მიღების შემდეგ შემოსული ინფორმაცია სწორ ორიენტაციის აძლევს შემმოწმებელს. ამიტომ შრომელთა მიღება ყოველთვის უნდა მოეწყოს შემოწმების დაწყებამდე ან მისი ჩატარების პირველსავე დღეებში.

შემოწმების გეგმით დასახული საკითხების შესწავლის დაწყებამდე მიზანშეწონილია ობიექტის გაცნობა, რაც დაგეხმარება მუშაობის სწორად წარმართვაში. მუშაობის პროცესში კონტროლიორებმა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ.



სამწუხაროდ, ასეც ხდება...

ჩვენი დედაქალაქის ზოგ უბანში, და კერძოდ, ხაბურთალოზე ხასმელ წყალს გრაფიკით აწვდიან და, ცხადია, წყალ

ქართველი მხატვრების საიუბილეო გამოფენაზე

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები — ვ. თოფურიძის „ლენინი“, ა. ვეფხვაძის „მშენებლები“, შ. ხოლუაშვილის „კონსტიტუციის პროექტს ვიწონებთ“, მ. ჭურდაღანის „ცომბირელა პაპა“ (ფოტორეპროდუქციები).

აღიდგენ ოქტომბერს

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ეძღვნება ქართველ მხატვართა ნაწარმოებების რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში ჯახსნა. აქ 414 ავტორს წარმოდგენილი აქვს 460-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევარი. ცნობილი მხატვრების ნაწარმოებთა გვერდით ვხედავთ საშუალო თაობის ოსტატთა ტილოებს. ავტორებს შორის არიან სოციალისტური შრომის გმირი სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი, რომელსაც გამოფენილი აქვს ფერწერული ტილო „შეჯვარა ნთამი“, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი უ. ჯაფარიძე, რომელმაც ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი წარმოდგინა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ვ. თოფურიძე, რომელსაც ექსპონიციაზე ვ. ი. ლენინის ქანდაკება აქვს გამოტანილი.

შინაარსიანი ნამუშევრები წარმოადგინეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა გ. თოიძემ — „ენეურეკის მშენებლობა“, ლ. დადიანმა — „ავლაბრის იატაკქვეშა სტამბა“, ზ. ბაბუჭა-მელიქოვამ — „ოქტომბრის დღესასწაული“ და სხვ. ქანდაკებებიდან გამოირჩევა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ს. კაკაბაძის ნამუშევარი „სოციალისტური შრომის ვირი აგრონომი დ. კუხიანიძე“, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ა. ჯიმართელის ქანდაკება „პოეტი რ. ამაშუკელი“ და სხვა ნაწარმოებები. გამოფენაზე წარმოდგენილია ახალგაზრდა დებიუტანტი მხატვრების ნამუშევრები.

საბჭოთა საქართველოს მხატვრებმა შექმნეს შთამბეჭდავი ნაწარმოებები, რომლებიც ადიდებენ ოქტომბრის მონაპოვრებს, უმღერიან სოციალისტურ სამშობლოს.

გამოფენაზე გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნ. ჯანბერიძემ. ვერნისაჟზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. დვალი. ჩეხოსლოვაკიის სამხატვრო ფონდის ეროვნული საწარმოს „დილოს“ დირექტორი ი. ბარდოუშეკი, ახალგაზრდა მხატვარი შ. შანიძე.

ჯამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე. (საინფორმი).

ქართველ მხატვართა საიუბილეო გამოფენის ირგვლივ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის ჩვენს კორესპონდენტს აზრი გაუზიარეს:

ნ. ჯანბერიძემ, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა: დღევანდელი გამოფენა ქართველი მხატვრების სამოცი წლის შემოქმედებითი გზის ერთგვარი შეჯამებაა. გამოფენის გახსნის წინა პერიოდში სერიოზულად მოვეპაზადეთ. საქართველოს მხატვართა კავშირში დარგობრივი სექციების მიხედვით ხელშეკრულება დაიდო მხატვრებთან, მომზადდა ესკიზები, ძვირფასეთ თემატიკა. კომისია დეტალურად გაეცნო თვითეული მხატვრის ნამუშევარს და მკაცრი კონკურსის შემდეგ დარსეულთ წილად ხვდათ მონაწილეობა მიეღოთ რესპუბლიკის მხატვართა დიდ გამოფენაში, რომელიც ყველა წინა გამოფენებისაგან განირჩევა თვისი მასშტაბურობით, ნამუშევართა სრულფასოვნებით.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის 153, გრაფიკის 220, ქანდაკების 90 ნამუშევარი. ამას უნდა დაემატოს გამოყენებითი ხელოვნების 150-ზე მეტი ნაწარმოები, რომელებსაც ამ დღეებში გამოავლენენ ამ დარბაზში. ეს ექსპოზიცია ახლანდელი გამოფენის გაგრძელება იქნება. გამოფენაზე 414 ავტორის ნამუშევარია წარმოდგენილი. ეს ციფრი ნათლად მიუთითებს ქართველ მხატვართა დიდ ინტერესსა და ენთუზიაზმზე.

გამოფენის თამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ დამთავალიერებელთა წინაშე წარსდგნენ საქართველოს როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა თაობის მხატვრები.

ქართველი საბჭოთა ხელოვნების კლასიკოსების ლ. გუდიაშვილის, უ. ჯაფარიძის, ვ. თოფურიძის, ს. კაკაბაძის და სხვათა ნამუშევრებს გვერდით თავიანთი მოკრძალებული ადგილი დაიკავეს ახალგაზრდა მხატვრებმა, რომლებმაც ახლახან დამთავრეს სამხატვრო აკადემია. საზოგადოების წინაშე ისინი „დებიუტანტის“ სახელწოდებით წარსდგნენ. მოგეხსენებათ, წლეულს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო ახალგაზრდა შემოქმედთა მუშაობის შესახებ, ამ დიდმა ყურადღებამ კიდევ უფრო წაახალისა მხატვრები.

დღევანდელი გამოფენა მრავალფეროვანია. ექსპოზიციაში წარმოდგენილ ნამუშევართა ავტორები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინდივიდუალური მანერით, სტილითა და ხელწერით, მაგრამ ისინი ერთნი არიან ამ გრძნობის წარმოსახვით, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

სასიხარულოა, რომ ქართველ მხატვართა შემოქმედებაში თავის ადგილს იკავებს მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური დეკანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახეს. ბევრმა ექსპოზიციაში წარმოდგენილია რეგოლუციურ წარსულს, ძველი თბილისისა და თანამედროვეობის შრომითი აღმავლობის ამსახველი ტილოები, რომლებიც ერთად ქმნიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინსვლის ერთიან მხატვრულ პორტრეტს.

3. ბორისინოვამ, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მდივანმა, გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკის“ დირექტორმა: რესპუბლიკის მხატვართა დღევანდელი გამოფენა დიდ ინტერესს იწვევს. უთუოდ მისასალმებელია ის დიდი მუშაობა, რაც საქართველოს მხატვართა კავშირმა გასწია, რათა ასეთი მრავალფეროვანი გამოფენა მოეწყო.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მე-60 წლისთავზე ქართველი ხალხის ახალი შრომითი ენთუზიაზმი ნათლად არის ასახული მხატვართა ნამუშევრებში.

გამოფენა თავისი ექსპოზიციით, თემატიკითა და სიუჟეტური ხასიათით ეხმარობს მხატვართა ყურადღებას. ეროსნიშნავია ის დიდი შემოქმედებითი ზრუნვა, რასაც მხატვართა ყოველი ინერგავს ახალგაზრდა მხატვრებისადმი. საგამოფენო დარბაზში მათთვის დათმობილ კუთხეში ვხვდებით ორიგინალურ ნაიუშევრებს, განსაკუთრებით ინტერესს ყურადღებას სკულპტურული ნამუშევრები, გობელენები.

უკვე აღიარებული ქართველ მხატვრების შემოქმედებაზე არაფერს ვამბობთ, რადგან მათი ნამუშევრების ხილვა მეოდმ სასიამოვნოა. საკავშირო გამოფენისათვის მხატვართა ბევრი ნამუშევარი შეირჩა, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს ქართველი მხატვრების შემოქმედებით აღმავლობას.

ქვეყნად მშვიდობისათვის

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დავით მეხუთის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილება ნეიტრონული ბომბის წარმოებისა და გამოცდის შესახებ უხიაგი და ანტიჰუმანური აქტია, რომელიც ეწინააღმდეგება ღვთისა და კაცის ნებას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეს საქმენი სამართლიანად გაიცხეს მსოფლიოს ხალხებმა, საბჭოთა ხალხმა, ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დავით მეხუთემ.

— ჩვენ დიდად გაგვიკვირა იმიერ პრეზიდენტ კარტერის პოლიტიკამ, — თქვა დავით მეხუთემ, — რამეთუ საარჩევნო კამპანიის დროს მისი სასიკეთო აღთქმანი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მეთაურს მაღალი პოსტის ღირსების პირველ თვეებშივე აენტაგონმა მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის საწინააღმდეგო ავისმომასწავებელ საქმედ აქცია.

საბჭოთა მთავრობა მშვიდობის პოლიტიკას ადგას, მაშასადამე მის მბარეზეა სიმართლეც, ძალაც, ჩვენი ლოცვა-კურთხევაც, — თქვა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურმა.

კაცობრიობის მტერია ის, ვინც შეღლსა და განსეთქილებას თესავს კაცთა შორის, ქმნის ომის საფრთხეს, — განაგრძო დავით მეხუთემ, — ომს შიშმილი, ნგრევა, სიღატაკე, უბედურება და ბორტება მოაქვს. ჩვენ კი მარადი სიკეთე და მშვიდობა გვინდა.

მე წიაღად მხვდა მონაწილეობა მიმეღო რელიგიურ მოღვაწეთა მსოფლიო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა. ჩვენ ერთსულოვნად გავლილაშქრეთ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ და მხარი დავუჭირეთ მტკიცე მშვიდობას, განიარაღებას და ხალხთა სამართლიან თანამშრომლობას.

— ამ კონფერენციაზე, — თქვა დავით მეხუთემ, — ჩვენ მოვუწოდეთ ყველა ქვეყნის მორწმუნეთ დაიცვან მშვიდობა. ვეიხარია, რომ ჟელსინკის თათბირის შემდეგ შენელდა დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში. მაგრამ ვხედავთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული ძალები არ ცხრებიან, სურთ ხელი შეუშალონ კაცობრიობის ოცნების აღსრულებას.

ხალხები წინააღმდეგობას უწევენ ამ ბარბაროსულ ზრახვებს. სხვაგვარად ვერც იქნება.

ჩვენ მოვუწოდებთ ყოველთა ქრისტიანთა და, უწინარესად, ამერიკელ ერთმორწმუნეთ ხმა აღიმაღლონ ქვეყნად მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის დასაცავად.

ქართულ ეკლესიას სწამს, რომ თუ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები ერთად იმოქმედებენ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეცვლის თავის გადაწყვეტილებას და ამერიკელი ერი, რომლის ისტორიაში მესამე საუკუნე დადგა, თავს აღარ შეირცხვენს მომავალ თაობათა წინაშე, როგორც ეს უკვე მუვადა 32 წლის წინათ იაპონიაში, როცა ამერიკის ატომურმა ბომბებმა ასიათასობით ადამიანი შეიწირა ჰიროსიმასა და ნაგასაკში.

ღასასრულ დავით მეხუთემ დასძინა: ჩვენი ყოველი ლოცვის ეამს მორჩილად ვიკვერცხებთ უფალს მშვიდობა ჰკოს სოფელსა ზედა, ჩვენ ყოველნი უნდა შეეკავშირდეთ. ვიყოთ ერთად, გავაერთიანოთ ძალები, რათა წინაღეუდგეთ ამერიკის შეერთებული შტატების მხედრობის საზარელ ზრახვებს, შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა ქვეყნად.

(საქინფორმი).

ზრუნვა დედებს

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). პარტიის ხელვაჩაურის რაიკომმა მოაწყო მრავალშვილიანი და ახალგაზრდა დედების რაიონული შეკრება. შეკრების მთავარი მიზანი იყო მრავალშვილიანი დედების შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხების, მომავალი თაობის სწორად აღზრდის, ამ საქმეში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლის გაძლიერების ღონისძიებათა შეჯამებაა.

შეკრებაზე სიტყვები წარმოთქვეს პარტიის რაიკომის მდივანმა ნ. ბუგაუნავამ, რაიონის მთავარმა ექიმმა რ. ბოლქვაძემ, ქ. ბათუმის ქალთა კონსულტაციის ექიმმა-გინეკოლოგმა ნ. ქიქვიძემ, ბავშვთა საავადმყოფოს მთავარმა ფეიდიატრმა ვ. ციკვაძემ, პედიატრმა ნ. ყორშუბაძემ და სხვა სპეციალისტებმა.

სესია მთაში

ყაზბეგი. (საკ. კორ). პარტიის ყაზბეგის რაიკომმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დიდი სამეცნიერო ომის ისტორიის განყოფილებამ და ყაზბეგის მზარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყეს სამეცნიერო სესია, რომელიც სამამულო ომს მიეძღვნა.

სამეცნიერო სესია გახსნა რაიკომის პირველმა მდივანმა, ე. ჯავასძემ. შესავალი სიტყვით გამოვიდა რაიკომის მდივანი თამარ ლიდოშვილი.

ლექცია თემაზე—საქართველოს სსრ კავშირისათვის ბრძოლას პერიოდში — წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ასათიანმა. მოგონებები სტალინგრადთან ბრძოლებს შესახებ. — ასეთი იყო ა. ჯორჯიშვილის საუბრის თემა. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ნიშნიანიძემ ისაუბრა თემაზე — ქართველი ფრონტელი ჟურნალისტები დიდ სამამულო ომში.

ა. თომაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური საგვარეულო

სასწავლო ეკონომიკური ბიბლიოთეკა

სოფლის [illegible]

მუშაკთა ნომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საგვარამოს ერთწლიანი სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-1978 სასწავლო წლისათვის

სკოლა ამზადებს და კვალიფიკაციას უმაღლებს ბუღალტრებს სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის

სკოლაში მიიღებიან სოფლის მეურნეობის წარმოების (კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა) აღრიცხვის დარგის მუშაკები, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება და აღრიცხვის დარგში მუშაობის ორი წლის სტაჟი.

სწავლების ხანგრძლივობა 10 თვეა.

სკოლაში შემსვლელმა უნდა შემოიტანოს შემდეგი საბუთები: 1. სოფლის მეურნეობის სამმართველოს მომართვა ან კოლმეურნეობის გამგეობის სხდომის ოქმის ამონაწერი სკოლაში მივლინების შესახებ ანდა საბჭოთა მეურნეობის მომართვა სკოლაში მივლინების შესახებ; 2. ვანათლების მოწმობის ასლი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, 3. ცნობა აღრიცხვის დარგში მუშაობის შესახებ, 4. დაბადების მოწმობის ასლი, 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 6. პიხპორტი ან მისი შემცვლელი საბუთი, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულ.) ან მიწერის მოწმობის (გასაწვევი ასაკის ჭაბუკი) წარმოადგენს პირადად.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად სკოლაში მიღებულ კოლმეურნეებს დაერიცხებათ 20-25 შრომადღე (1 შრომადღე 1 მანეთი და 72 კაპიკი) და მიეცემათ ყოველთვიურად 10 მანეთი სწავლების მთელ პერიოდში, ხოლო ის კოლმეურნეობები, რომლებიც გარანტირებულ ანაზღაურებაზე არიან, მისცემენ შესაბამის ანაზღაურებას თვეში 40-45 მანეთს.

მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

სკოლის მისამართია: მცხეთის რაიონი, სოფელი საგურამო სოფლის მეურნეობის აღრიცხვის მუშაკთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საგურამოს ერთწლიანი სკოლა.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს

რესპუბლიკური სასწავლო-საწარმოო კომბინატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს ქალიხა და ბავშვის, მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის ინდივიდუალურ მკერავებს, ფოტო პროფილის ფოტოგრაფებს და მამაკაცის პარიკმახერებს.

სწავლების ვადა კერვის სპეციალობაზე 1,5 წელია, ფოტოგრაფის სპეციალობაზე — 1 წელი, ხოლო მამაკაცის პარიკმახერის სპეციალობაზე — 5 თვე.

სასწავლებელში მიიღებიან 30 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ საშუალო ან არასრული საშუალო განათლება.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1) მომართვა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო ან რაიონული სამმართველოდან, 2) განათლების მოწმობა (დედანი), 3) დაბადების მოწმობა (დედანი), 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5) ავტობიოგრაფია, 6) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7) ორი ფოტოსურათი, პასპორტს და სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) წარადგენენ პირადად.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია თვეში: კერვისა და ფოტოგრაფის სპეციალობაზე 38 მანეთი, ხოლო პარიკმახერის სპეციალობაზე — 30 მანეთი, რაიონებიდან მოვლინებულ მოსწავლეებს დამატებით მიეცემათ თვეში 10 მანეთი.

სასწავლებელში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება წინასწარი გასაუბრების შემდეგ.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს ეძლევათ მოწმობა სპეციალობისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ და წარმომგზავნი ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილით.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, დილმის მასივი, II კვარტალი მე-8 კორპუსი, ტელ. 51-39-18.



წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელებმ, საცხოვრებელი ბინების მფლობელების და სხვა ორგანიზაციების

საყურადღებოდ

ახლოვდება ზამთარის გათბობის სეზონი — წლის ხანძრების მხრივ ყველაზე საშიში პერიოდი

ამ პერიოდში ხანძრები წარმოშვება გათბობის ყვარგისი ხელსაწყოების, ჰვარტლისაგან გაუწმენდავი კვამლსადენების, ელექტრული უწესცირო მდგომარეობაში მყოფ ელექტროდანადგარების და გამამყრალებელი ხელსაწყოების ექსპლოატაციის შედეგად.

მოქალაქენო!

ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლისათვის გათბობის სეზონამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენეთ აუცილებელ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად.

ნეგასყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური სამმართველო



სენსაცია არ მომხდარა

ევროპის თასების მეორე რაუნდი

„საუზხაურთო ოთხშაბათი“ — ევროპაში სამი საკლუბო ტურნირის საპასუხო მაჩრების დღე — უსენსაციოდ დამთავრდა.

ჩემპიონთა თასი. 13 შეხვედრაში (ჩრდილოეთ ირლანდიის „ლენტფორანის“ შეხვედრა ისლანდიის „ვალიურთან“ ძოგვიანებით გაიმართება) ფავორიტები ბრძოლას განაგრძობენ ამ პოპულარული ტურნირის მერვეფინალში. მათ შორის არიან „ბორუსია“ (შონხენგლადბახი, გფრ), რომელმაც ორი შეხვედრის ჯამში მოუგო ბუდაპეშტის „ვაშაშს“ (3:0 და 1:1); იტალიის „იუვენტუსი“ — დამარცხა კვიპროსის „ომონია“ (3:0, 2:0). იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“ 3:0 და 3:0 — ირლანდიის „შელიგორიერსთან“, სოფიის „ლევსკი-სპარტაკი“ — პოლონეთის „შლონსკი“ 3:0 და 2:2; ამსტერდამის „აიაქსი“ — ნორვეგიის „ლილესტრომთან“ — 0:2 და 4:0, ავრეთვე დრეზდენის „დინამო“, საფრანგეთის „ნანტი“ და მადრიდის „ატლეტიკო“.

თასების თასზე. ამ გათამაშებაში მოულოდნელობა მოხდა პოლონეთის ქალაქ სოსნოვიცში, სადაც ადგილობრივმა „ზაგლებმემ“ წაიგო სპერძნენთის კლუბ პოოთან — 2:0 (პირველი მატჩიც პერძენმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ასეთივე ანგარიშით). მერვეფინალური გამოვლენ პრიზის ახლანდელი ძვლობელი „ჰამბურგი“ (გფრ), რომელმაც დაამარცხა ფინეთის გუნდი „რეიპასი“ — 8:1 და 5:2; ლაიფციგის „ლოკომოტივი“ — 4:1 და 2:2 ჩრდილოეთ ირლანდიის „კოლრეინთან“, ქოშიცეს „ლოკომოტივი“ — 0:0 და 2:2 შვეიცის „ეს ტერიანთან“ (ორივე ბერნი მატჩქის მოიდანზე გაიტანა); ბელგიის „ანდერლეხტი“ — 6:1 და 2:0 სოფიის „ლოკომოტივთან“.

უეფას თასზე. ცნობილი კლუბებიდან მეთექვსმეტეფინალში ბრძოლას განაგრძობენ მიუნხენის „ბავარია“, „ბარსელონა“, „იტლეტიკი“ (ბილბაო), რომის ლაცო, „ზაბეგნ „გურნიკი“, ჰოლანდიის „ეინდჰოვერი“, „ბოგდან ურგი“ (გდრ), „ციურიხი“, ზაგრების „დინამო“. ლიეჟის „სტანდარდი“...

სამოვე ტურნირის შემდგომი რაუნდის წილისყრა მოეწყობა 30 სექტემბერს ციურიხში.

თასების მფლობელთა თასზე

გუშინ სსრ კავშირის თასის მფლობელი — მოსკოვის „დინამო“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე განმეორებითს მეთექვსმეტიდ ფინალურ მატჩში მასპინძლობდა მალტის დედაქალაქის ვალეტას გუნდს „ლა-ვალეტას“. პირველი თამაში, როგორც ცნობილია, სტუმრად მოსკოველებმა მოიგეს — 2:0.

დინამოელებმა აღმფლობით წარმართეს გუშინდელი მატჩიც და გაიმარჯვეს ანგარიშით — 5:0.

ამრიგად ორი შეხვედრის ჯამით მოსკოვის „დინამო“ თასის გათამაშების მერვეფინალში გავიდა.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

მასპინძლობს დონეცკი

დონეცკში შეიკრიბნენ ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები, რათა ერთმანეთს შეეცალონ ჩემპიონის მედლის პირად. ჩათვლაში. მოასპარეზეებს სათავეში უდგანან თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი და ადგილობრივი მკვიდრი მარინე კრშინი. სულ პაექრობაში მონაწილეობს 64 გოჯი და 48 ქალი. ჩემპიონატი 12 დღეს გაგრძელდება.

მონაწილენი წილის ყრით დაყოფილი არიან რვა-რვა ჯგუფად. პირველ ეტაპზე სპორტსმენები წრიული სისტემით ითამაშებენ, შემდეგ კი გამარჯვებულნი ერთმანეთს ოლიმპიური წესით შეხვდებიან. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შეჯიბრებები ერთეულთა თანრიგის მიხედვით. ტურნირის სისტემა პრივილეგიას არავის ანიჭებს და ყველას აძლევს შესაძლებლობას, ძალა მოსინჯოს ალიარებულ ლიდერებთან.

სპორტული ამბები

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური ტურნირის ცენტრალური ატჩი იყო ამ სპორტის პრიზის პრეტენდენტების — მოსკოვის „დინამოსა“ და სამხედრო-სახლეთო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის შეხვედრა. იგი ფრედ დამთავრდა — 6:6. დინამოელებისათვის ეს ბოლო ასპარეზობა იყო — მათ ახლა რვიდან შვიდი ქული აქვთ. ძეზღვაურებმა 5 ქული დაკარგეს, ძვირად მარიგდ ეთთი თამაში დარჩათ — კიევის „დინამოსთან“ და გამარჯვების შემთხვევაში გახმეორებითი შეხვედრა მოუწევთ მოსკოველ დინამოელებთან.

ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ. გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე ძრავალდღიან საკავშირო ჩემპიონატში ლიდერი შეიცვალა — გუნდურ ჩათვლაში მეცხრე ეტაპის შემდეგ ეს ხელ გავიდნენ უკოიელი ველოსიპედისტები. მათ გაიმარჯვეს სევასტოპოლის ქუჩებში 150-კილომეტრიან წრიულ დისტანციაზეც. ამ ეტაპზე პირველ ჩათვლაში პირველობდა მოლდავეთის ველოდის წარმომადგენელი ალექსანდრე ბლიუშკინი — 3:44.22.

ᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘ. მინსკის მასლობლად — რაუბიაში გაიმართა საკავშირო საზაფხულო შეჯიბრება როლერებიანი თხილამურებით. 20-კილომეტრიანი ტრასა ოთხ საციცხლე მიჯნაზე სრული ყველაზე სწრაფად დაფარა სუმელმა სპორტსმენმა ნიკოლოს სგუნმა — 1:07.53,0 (სამი ხაჯარიმო ქულით). მეორე იყო მურმანსკელი დ. სკოსირევი — 1:08,33 (2), მესამე — ტომსკელი ვ. ვასილიევი — 1:08,36,8 (1). სპორტსმენებს რბოლა უნდებოდათ საკანგეროდ მომზადებულ მოასფალტებულ ბილიკებზე, ხოლო ისროდნენ მცირეკალიბრიანი შაშხანებით 50 მეტრზე.

ᲒᲠᲘᲤᲘᲜᲘ. საქართველო ოსტეხბურთელთა პირველობა პირველ ჯგუფში. ტურნირს ყველაზე დიდხანრად სათავეში ედგას ფიბოჭარტა — ბალის „ეზიერი“. ფოთის „კოლხეთთან“ წინა ტურში დამარცხებას ბალელნი არ მოუხდენია მის მდგომარეობაზე. ფოლეჯიხის „სქოზნი“ ინგარიშით 2:1 გამარჯვებამ კი ბინამტკიცი ადგილი ლიდერობა. „ეზიერმა“ 32 თამაშში 47 ქულა მოაგროვა და 7 ქულით ოსწრებს ოთხლოეს მეტოქეს — საჩხერის „ბეტრიეს“, რომელმაც მეორე შეხვედრა წაგო ზედიზენი — ამჯერად დიდი ანგარიშით 0:3 ოჩამჩირის „ამბანთან“.

ᲒᲝᲒᲔᲗᲘᲡᲞᲝᲠᲨᲘ სოფლის გუნდებს შორის „ოქროს თავიდის“ პრიზზე საკავშირო ტურნირის ზონალურ ასპარეზობაში გაიმარჯვა ადგილობრივმა „სალხინომ“ (7 ქულა 8 შესაძლებლიდან) და უფლება დაიმსახურა განაგრძოს ბრძოლა ფინალურ ტურნირში, რომელიც 7-13 ოქტომბერს გაიმართება მოლდავეთში. ვეიეჩკორში თამაშობდნენ რუსეთის სფსრ, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ „ნადიკვარი“ გამოეთიბა ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასისათვის ბრძოლას. ქალაქ ვეიჩენკოში მან წაგო ადგილობრივ „ტრუდთან“ — 3:6.

ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲡ

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). პარტიის ხელვაჩაურის რაიკომმა მოაწყო მრავალშვილიანი და ახალგაზრდა დედების რაიონული შეკრება. შეკრების მთავარი მიზანი იყო მრავალშვილიანი დედების შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხების, მომავალი თაობის სწორად აღზრდის, ამ საქმეში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლის გაძლიერების ღონისძიებათა შეჯამებაა.

შეკრებაზე სიტყვები წარმოთქვეს პარტიის რაიკომის მდივანმა ნ. ბუგაუნავამ, რაიონის მთავარმა ექიმმა რ. ბოლქვაძემ, ქ. ბათუმის ქალთა კონსულტაციის ექიმმა-გინეკოლოგმა ნ. ქიქვიძემ, ბავშვთა საავადმყოფოს მთავარმა ფეიდიატრმა ვ. ციკვაძემ, პედიატრმა ნ. ყორშუბაძემ და სხვა სპეციალისტებმა.

სესია მთაში

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ. (საკ. კორ). პარტიის ყაზბეგის რაიკომმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დიდი სამამულო ომის ისტორიის განყოფილებამ და ყაზბეგის მზარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყეს სამეცნიერო სესია, რომელიც სამამულო ომს მიეძღვნა.

სამეცნიერო სესია გახსნა რაიკომის პირველმა მდივანმა, ე. ჯავასძემ. შესავალი სიტყვით გამოვიდა რაიკომის მდივანი თამარ ლიდოშვილი.

ლექცია თემაზე—საქართველოს სსრ კავშირისათვის ბრძოლას პერიოდში — წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ასათიანმა. მოგონებები სტალინგრადთან ბრძოლებს შესახებ. — ასეთი იყო ა. ჯორჯიშვილის საუბრის თემა. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ნიშნიანიძემ ისაუბრა თემაზე — ქართველი ფრონტელი ჟურნალისტები დიდ სამამულო ომში.

ა. თომაძე.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

3. Ა. ᲕᲔᲙᲣᲐ



კომუნისტ ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი, რესპუბლიკური ნომენკლატურის პენსიონერი ეფაიმერ ანდრიას ძე ᲕᲔᲙᲣᲐ. იგი დაბადა 1907 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოლაში, ლარიბი გლეხის ოჯახში.

1921 წლიდან კომკავშირელი ვ. ვეკუა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე აქტიურად მონაწილეობდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში ფალენჯიხის რაიონში. იგი პარტიის რიგებში იყო 1931 წლიდან.

საშეალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვ. ვეკუა მუშაობს მასწავლებლად, ჯგალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, რვაწლიანი სკოლის დირექტორად ჯვარში, ფალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, სამაზრო-სატრაქტორო საადგურის დირექტორად, რაიონის აღმასკომის მიძღვანის გამგედ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1942 წლიდან წითელწყაროს რაიონის მანქანა-ტრაქტორთა საადგურის პოლიტგ